


ბ ა რ ა

№ 5 (—241) ზსნი 10. კპვ.
კვირა, 2 თებერვალი 1930 წ.
წელიწადი მეშვიდე.



როს მოწყობა კოლექტივის ღარიბებმა განიზრახეს,
კულაკები შხამს ანახევდენ და უგებდენ ყველგან მახეს.
ვაიარხა კოლექტივო, ტრაქტორები მტერს სჭრის თვალებს
კულაკებმაც მიაშურეს, — მაგრამ ვინღა მიიკარებს!

ვერ მოვიჭრათა მე გლეხი
პურ-მარილით და ღვინითა,
მაგრად ამოძებო პანდური
დაჯრჩი დამთხვეულ ტვინითა.



ჟონს ვერ გავიღა

კოლა ზაუტაძის ოჯახი სოფ. კახინში ერთ-ერთ კულაკის ოჯახათ ითვლებოდა.

კოლას მამა ივანე ყოფილი ბატონის ნამოურავი გლეხი იყო და ბატონის ზნე-ჩვეულებანი სავსებით ქონდა მითვისებული.

მეზობელ გლეხებს ისე ეპყრობოდა, როგორც წინათ ბატონი.

სდევნიდა და ავიწროვებდა მათ. თუ წინათ უმიწაწყლო გლეხები იძულებული იყვნენ ივანეს თავაშვებულებას დამორჩილებოდნენ, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მათი სიძულვილი ივანესადმი დღითიდღე იზრდებოდა.

სამაგიეროთ კოლას გლეხებთან შეწარმებულ პოლიტიკას აწარმოებდა. თუ ივანე ვერ ახერხებდა საბჭოთა წყობილებასთან მეთვისებას, თუ კი ის კერძო საკუთრების შელახვას ვერ ინებებდა და გლეხების ყველგააუტცილებელ მოვლენად მიაჩნდა, კოლას შესენდულებით საჭირო იყო ხელისუფლების წინაშე საბჭოთა წყობილებისადმი ერთგულების სახელის მოხვეჭა.

სოფელ კახინში კოლა თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენდა, რომელსაც პირველ ხანებში გლეხობა ნდობით ეპყრობოდა და რომელსაც დროს საბჭოს თავმჯდომარეთაც იყო არჩეული.

— ნუ თუ, მამა ჩემო, ვეღარ გაიგე, რომ ძალა ჩვენს მხარეზე აღარაა, ნუ-თუ ვერ გაიგე, რომ საბჭოთა წყობილება მშრომელთა წყობილებაა, ჩვენ

კი არ ვშრომობთ და შენ კი ძველებურათ გინდა იცხოვრო... ეს არ შეიძლება, საჭიროა წითელი ფერის შეცხება, საჭიროა ძახილი: გაუმარჯოს საბჭოთა წყობილებას, გაუმარჯოს კომუნისტებს, გაუმარჯოს კოლექტივს. ისე კი რაც გინდა ის იყავი, გულში ხომ ვერავინ ჩაგხედავს... ასე უქადაგებდა კოლა ივანეს, რომელსაც შვილის აზრები ისე ხედებოდა, როგორც კედელს ცერცვის კაკალი...

კოლას პარტიაში შეძრომაც უნდოდა. ამ მიზნით ის ტფილისში გადავიდა და ერთ-ერთ კომისარიატში პასუხისმგებელ ადგილზე მოთავსდა... მისდა სამწუხაროთ, პარტიაში შესვლა ვეღარ მოხერხა. გამოჩნდა ისეთი ხალხი, რომელმაც კოლას „კბილები გაუსინჯა“ და აღმოაჩინა მასში კულაკური ელემენტი... მიუხედავად ამისა, კოლას ზოგი „პასუხისმგებელი“ პირი თავის კაცათ სთვლიდა და დახმარებასაც უწყევდა.

კოლას მჭიდრო კავშირი ქონდა თავის ოჯახთან სოფელში, სადა ხშირად ჩადიოდა და თან ჩაყავდა „პასუხისმგებელი“ ამხანაგები. სოფ. კახინშიაც დაარსდა კოლექტივი, რომელშიაც შევიდნენ დარიბი გლეხები. კოლექტივი სოფლის კულაკებს მოსვენებას არ აძლევდა.

ივანესთან ხშირად იკრიბებოდნენ კულაკები და კოლექტივის საწინააღმდეგო ზომებს იმუშავებდნენ...

რომ ივანეს მიმართ გლეხების სიძულვილი შენელებულიყო, კოლამ კოლექტივის მეთაურებს ტფილისში

დახმარება გაუწია ტრაქტორის და სხვა იარაღების შეძენის საქმეში. მიუხედავად ამისა გლეხები მოითხოვდნენ სასტიკათ დასჯას კულაკების და მათ ზორის ივანეს, რომლებმაც კოლექტივის შენობას ცეცხლი წაუკიდეს...

ვის არ მიმართა კოლამ დახმარებისათვის, რომ ივანე გადაერჩინა სასჯელს და მისი მიწა-წყალი სოფელში ხელშეუხლებელი ყოფილიყო, მაგრამ არ იქნა და არ მოხერხდა... მაშინ მან მიმართა ასეთ ოინს:

დასწერა ერთ-ერთ გაზეთის სახელზე შემდეგი შინაარსის წერილი:

„სოფ. კახინში მაქვს უძრავ - მოძრავი ქონება, სადაც სცხოვრობს ჩემი დედ-მამა, რომელთა თანხმობით შემოსხენებული ქონება შემაქვს ადგილობრივ კოლექტივში და ამავე მიზნით ვიწვევ დაწინაურებულ მუშებს თომა ნებაძეს და ვაბო აზრაძეს.

როცა ეს წერილი რედაქტორმა წაიკითხა, უღვაწებნი ჩაილიმა და კოლას წერილი უკანვე დაუბრუნა.

— ცოტა დაგავიანდათ, მოქალაქე, ჩვენი ბრიგადის ცნობის თანახმად, თქვენი ქონება კოლექტივის უკვე ჩაუბარებია. მამა თქვენი კი კულაკებთან ერთად, რომელთაც თავდასხმა მოუწყვიათ კოლექტივზე, სოფლიდან გამოუსტუმრებიათ. რაც შეეხება თომას ნებაძეს და ვაბო აზრაძის გამოწვევას, მათი განცხადებები კოლექტივზე ქონების გადაცემის შესახებ უკვე იბეჭდება ხვალინდელ ნომერში.

კოლა სახტათ დარჩა...
სუმბარა.

მ უ მ ბ ლ ე ბ ი ს კ ა ს უ ხ ი

მივიღე, შეიღო, შენი წერილი,
(თარიღი აზის გასული კვირის).
ყოველი გლეხი კოლექტივს ელტვის,
მხოლოდ კულაკი ბრაზობს და ჰყვირის.

დღე ერთი არის და—უამრავი
ჩვენში არსდება კოლექტივები,
და კულაკების გასაცურავად
უკვე მზადა გვაქვს სოფლად ტივები.

კოლექტივების გარეშე ჩვენში
არ დარჩენილა გლეხი არც ერთი.
აწ გლეხებს ვეღარ მოგვატყუილებს
ეკლესია და ხუცესი, ღმერთი.

როგორც კი სოფლად გამოაცხადეს:
„დავარსოთო კოლექტივები“, —
ისე შევერთდით მთელი გლეხობა,
რომ ვერ გვისწრებდა დირექტივები.

ივანე, პეტრე, სეფე, მე, ტრიფონ,
ვანო, გიორგი და მართა ქვრივი
გავერთიანდით ერთ კოლექტივში,
კოლექტივი გვაქვს მაგარი, მკერივი...

და ასე მთელი ჩვენი სოფელი...
მოვსპეთ საზღვრები, ღობე და თხრილი.
ეზოში დადის კულაკი პარმენ
ყურჩამოყრილი და თავდახრილი.

შეძრომა სცადა ჩვენს კოლექტივში,
აამეტყველა თავისი ენა, —
მაგრამ მოვაბით უესტი და, მგონი,
სოფლიდან უწევს მთლად „გადაფრენა“...

ბევრი მთავრობა გამომივლია,
(სამოცდახუთმეტს მივადგი ფენი), —
და კმაყოფილი, როგორც, დღეს არის,
ჯერ არ ყოფილა მუშა და გლეხი.

მე ამ ამბებმა, კაცს მოხუცებულს,
რომელიც ვიდექ სამარის პირათ, —
კვლავ დამიბრუნეს ძველი ძაღლონე
და კვლავ გამხადეს ჯველათ, გმირათ.

მე ვხედავ თვალწინ ახალ ცხოვრებას,
თითქოს დედამა მე მშობა ახლა.
სახე ეცვლება დღეს ჩვენს ცხოვრებას,
ვაშა, ქვეყანა ვინც განაახლა.

ი. სინგელი.

„კოლექტივი“

სოფ. ტიკვეთში საშუალო და ღარიბი გლეხობა
კოლექტივებში გაერთიანდა.

კოლექტივის გარეშე მხოლოდ რამდენიმე კულაკი
დარჩა.

ამათამაც სცადეს კოლექტივებში შეძრომა, მაგრამ
კოვზი ნაცარში ჩაუფარდათ.

— რა გქნათ ესლა? ასე დარჩენა შეუძლებელია! —
ამბობდა საიდუმლო კრებაზე კულაკი კოლა.

— რა გქნათ და... რა გქნათ და... აღარ ვიცი რა
გქნათ! — ხელს აწევედა კულაკი ეჭვთამე.

— ნუ თუ გამოსავალი არ არის! — იკითხა სასოწარ-
კვეთილებით კულაკმა ტიტემ.

— არის! არის! — დაიყვირა სიხარულისაგან კულა-
კმა ვიქტორმა. — ჩვენც დავაარსოთ კოლექტივი; ჩვენც
გავერთიანდეთ კოლექტივში! — და ჩუმად დაიწყო ჩუ-
რჩული.

— კარგი აზრია! დიდებულია! — დაეთანხმა სამივე.
მესამე დღეს მათ მამულს ასეთი წარწერა ამშვე-
ნებდა:

გლეხებს უკვირდათ.

პაგრამ ერთ მშვენიერ დღეს (როგორც ასეთ შემთხ-
ვევაში იტყვიან ხოლმე) „კოლექტივის“ კომკავშირის წი-
ნამძღოლობით ესტუმრა „არასასიამოვნო“ სტუმარი —
ადგილობრივი ხელისუფლებას.


— არა, ეს კოლექტივს არ ნიშნავს; — ეს ჩვენი სა-
ხელების პირველი ასოებია:

კოლექტივი ატიანი ბორი



მაგრამ ასეთმა თავისმართლებამ მათ მაინც ვერ უშ-
ველა და „კოლექტივის“ წევრები გზას გაუღებენ... გამ-
სახლისაკენ.

ისელი.



— ვინ რას იტყვს?! ნამდვილი კოლექტივა! ხელს
ვერავენ გვახლებს! — ამბობდნენ „კოლექტივის“ წევრები.

უამდები ნომერი
სპეციალური
თეატრალური
ნომერია

ჩვენ ბრიბადა



სიბრუნის კოლექტივი


— გამარჯობათ კოლექტივის წევრებო, როგორ ხართ, ღარიბებო?

— ღარიბი ხარ და ღატაკი! აქ ღარიბი და მოჯამაგირე არ გვირეცია, ყველა ჩვენიანია, შეძლებულები ვახლავართ.

— ეს როგორ? კოლექტივში თავი კულაკებმა მოიყარეთ?

— კულაკიც ხარ და ყოყაყიც! აქ მარტო შეძლებული გლეხები ვართ, გამგებოდა ჩვენი, სარევიზიო კომისია. წევრები ჩვენ ვართ თითონ... ვაჭრებიც არიან.

— კი მაგრამ პარტკომმა, აღმასკომმა, საბჭომ და სხვებმა როგორ დაუშვეს კულაკებ - ვაჭრების კოლექტივის შექმნა, აჰ?



— ს-ს-ს-უთ! ნუ ყვირით, თორემ გაიღვიძებენ.
— როგორ?
— როგორ და აქ პარტკომსაც სძინავს, აღმასკომსაც, და საბჭოსაც...

გულმავიწყობა

იყო და... ახლაც არის: **ჩვენ** ოლქში არის ერთი სახელოსნო, რომელმაც უნდა შეაერთოს სამეურნეო ხარაღ-მანქანები. სახელოსნოს მოწყობა დაიწყო სოფლის კავშირმა.

მაგრამ, რა ცუდი თურმე გოგმავიწყობა: სოფლის კავშირმა სახელოსნოს მოწყობა დაიწყო, მაგრამ მისი დამთავრება „ჩვე“ დაავიწყდა. დაავიწყდა აშკარად: ეს სახელოსნო გასულ შემოდგომის თესვისთვის უნდა ყოფილიყო მზათ, მაგრამ ახლაც სახახევროდ არ არის მოთავებული.

თუ ვინმეს სოფლის კავშირისაკენ გზა დაგირჩეს, შეიარეთ შიგ და გაახსენეთ ამ სახელოსნოს დამთავრება, თორემ...

ჩაღა თორემ, თესვა კარზეა. ჰაი გულმავიწყოვავ! ჩაღა მაინცადამაინც სოფლის კავშირს ესტუმრე ამ გახურებული მუშაობის დროს!
საფანგი.

„რეკომენდატორი“ პარტიული

გომში (სოფელია გორში) კოლექტივი არსდება. ამით კულაკებს გული უსკდება: „ვაი ამ საათს, ამ მოგონებას, ნეტა ვინ ართმევს გლეხებს გონებას, რომ აკეთებენ კოლექტივს მთლიანს და აძევებენ კულაკს მადლიანს?“

ისევ უშველოს პარტიის წევრებს: ალ. ელბაქიძეს ვუკოცნით წევრებს და მეორესაც — გიორგი ჯიოშვილს მე უსათუოდ მოუხათლავ შეილს, რადგანაც ორი ეს კომუნისტი არის იმდენათ „დობრი“ და „ჩესტნი“, რომ კულაკ-ვაჭარს ვინმე კალაძეს ატესტაცია ასე უბოძეს: „კალაძე ესე არის, როგორაც ჩვენ დავსწერეთ — კაცი კეთილი, პატიოსანი, ეგ უნდა განდეს არტელის წევრი“.

ასე შეიტკბეს ამ პარტწევრებმა კულაკ კალაძის ელემენტობა და მომავალში, როგორ ეტყობა, მათ მოუხდებათ თუ არ ეწყინათ, პარტიის გარეთ მონახონ ბინა.
ხიშტი.


კულაკები გულთ.

წითილ წყაროს შეიკრიბა ღარიბ გოგნათა კრება. მათ უნდოდათ კოლექტივის ჩამოყალიბება. შეიყარენ კოლაიბიც მოიტანეს ღვინო. სთქვეს: „დავათროთ ეს გლეხები, აქვე დავაძინ დავაიწყეთ კოლექტივი ჩვენ დაგირჩია ბურთი“... სვეს გლეხებმა აღდევრძელეს იმათ ერთი—ურთი. შემდეგ კრებაც შეაყენეს ენა გაიჟობეს და სოფელი კოლოქტივში ჩამოყალიბეს. კულაკებს კი... წამოჰკიდეს ცალიერი გულა და ზბრძანის: „ამ სოფლიდან აიბარგოთ უნდა“

კომბალი.

ღვარკლი

კულაკების თავხედობა იქამდე მიდის, რომ ისინი საქონელს ანადგურებენ



დავკალი ხარი ნიკორა ავაშიშინე მწვადია, კოლექტივისთვის რადგანაც მე ხელის შეშლა მწვადია.

მეწადა ასე, მე მაგრამ ფონს მაინც ველარ გაველი, წაიღეს ჩემი ქონება არ დამრჩა მიწა მტკაველი.


ქალი ალიმენტით

მოკლე კაბა შევიკარე
მუხლებამდე მწვდება,
ტუჩი კრასკით შევიფერე,
პუდრიც ქე მიხდება.
სიყვარულში ბევრი დავწვი
ორასამდე მეტი,
ცხრა ქმარი გამოვიცვალე
მზიბლავს ალიმენტი.
ერთი იყო ტრესტის გამგე
ფული ქონდა ბევრი,
როცა ადგილიდან მოხსნეს
მაშინ დაუძვერი.
მეორე კი ბუხალტერი
და მესამე სპეცი,
მეოთხე იან დროს ვატარებ-

დი,
რას ხვდებოდა ბევი.
მეოთხეს ხომ სალაროდან
სახაზინო ფული
ათასობით ვაზიდვინე,
მოვიჯერე გული.
მეხუთეზე მოვახსენოთ
ცოტა იყო კოჭლი,
არ მომწონდა, რადგან სახეს
უფარავდა ჭორფლი.
მეექვსესა და მეშვიდეს
ეცანცლე ალიმენტი,
გვერდი როცა აუქციე,
თავს დავასხი რეტი.
მერგი ახალგაზრდა იყო
ლამაზი და კობტა,
მაგრამ ისიც ვერ ვიყე
ცხრაში ისიც მოხვდა.

გალმა გადავება

გერმანიაში დამშეულებმა მოაწყვეს
მასიური დემონსტრაცია, რომელიც
გარეკა პოლიციამ



ს. რ. შენაუოლორი
უიფელდერი (პოლიციელი სოც.-დემოკ.): — ჰმ! მზივრები!... თქვენ
რა მზივრები ხართ? თავს გვეხმით!

მეცხრე ქმარი ვადვიციდე
იყო ჭირვეული,
ფენს არსად მადგმევენებდა
ტიალი—წყეული.

ენლა სულ სხვებზე მიქირავს
გამოცილილი თვალი,
თუ ოც ქმრამდე არ ავიდა,
არ ვყოფილვარ ქალი.
მანი.

ინგლისი ინდოეთში



ინგლისელი: — ეს რა ამბავია! ამ უკანასკნელ
ხანებში ძალიან გახშირდა ჩვენი ინდოეთში მიწისძვრა.

თანამედროვე ანდაზები

- ◆ გამფლანგველი საკანში ჩასვეს და თავი მოიმიძინარა — ეგებ სიზმარი იყოსო.
- ◆ კოლექტივის გადამკიდე კულაკებს თავები ოხრად დარჩებო.
- ◆ ქურდმა სიზმარში გამსახლი ნახა და მეორე დღეს შიგ ამოყო თავი.
- ◆ ვაჭარს გვერდში კოოპერატივი გაუღეს და გახარებულმა დაიძახა: მადლობა ღმერთს შორიდან აღარ დამჭირდება საჭონლის მოტანაო.
- პროტექციით ნაშოვნ სამსახურის დაკარგვა ნუ გეწყინებაო.
- გასათხოვარი სამქოვების ძებნა - ძებნაში გაუთხოვარი დარჩაო.
- ◆ გამგის გადაკიდებას უმუშევრად ყოფნა გერჩიოსო.
- ◆ ვაჭრებისათვის ჭამის მადის დაკარგვა, ფინაგენტის ბრალიაო.
- ◆ გუშინდელ ლობიოს დღევანდელი ქათმის ჩიხირთმა მორჩენიაო.
- ◆ ლოთი კვდებოდა და იძახოდა: ერთი დათრობა მაინც მომესწოვო.
- ◆ ზოგი ქალი გაუთხოვრობას სტირის, ზოგი კი გათხოვლობასო.
- ◆ მენშევიკმა ჭკუა დაკარგა და ჩეკამ მოუნახაო.
- ◆ მგზავრმა ფიზკულტურა არ იცოდა და კონდუქტორებმა შეასწავლაო.

კირილე საფიჩხიელი.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა (გადმოკეთებულია)

ფინანსთა მინისტრი ძვირფას სა-
ვაჭრობაში იჯდა და მაგიდაზე წა-
მობრლილი ბლოკნოტში ჩაწერილ ცი-
ფრებს ჩასცქეროდა.

ამ დროს კაბინეტში პირადი
მდივანი შემოვიდა და მის ბრწყინვა-
ლებას ორი სადარბაზო ბარათი მი-
აწოდა.

— თქვენს სანახავთ მოვიდენ..
გთხოვენ... ერთი მათგანი ჩრდილოეთ
ამერიკის შეერთებულ შტატების დე-
პუტატო სააგენტოდან არის, მეორე კი
მოსკოვის რომელიღაც გაზეთის წარ-
მომადგენელი უნდა იყოს.

მინისტრმა რამდენჯერმე შეატრია-
ლა სადარბაზო ბარათი, გადაიკითხა
სტუმრების მისამართი და მდივანს მი-
მართა:

— შემოვიდენ... პირველად საბჭო-
თა კავშირის წარმომადგენელს დაუ-
ძახეთ...

მის წინ წითური სახის, ქერა თმია-
ნი და უღვაშ გაპარსული უცნობი
გაჩნდა.

— მე მინდა რამდენიმე კითხვა
მოგახსენოთ ვალების შესახებ...

— როგორ თამამათ მოდის ეს ვი-
რის თავი! კითხვებსაც კი იძლევა? რა
კითხვა, დააწყვე ფეშხუმ - ფარები
და შეაყოლე შენს სადათვეთში!—გა-
იფიქრა გულში მინისტრმა და ში-
სულს თავაზიანათ უპასუხა:

— ბრძანეთ!

— რას ფიქრობთ თქვენ... დალ..
იმის გადახდის შესახებ..

— რა უნდა ვიფიქრო. ფიქრი ზედ-
მეტია და დღესავით ნათელია, რომ
ვალს გადახდელი უნდა იქნეს. თქვენ
კი ამაზე სულაც არ ფიქრობთ.

ქერა ქაბუქს სიამოვნების ღიმილმა
გადაჰკრა.

— რას ბრძანებთ, ბატონო მინისტ-
რო. მე სავსებით დარწმუნებული ვარ,
რომ უნდა გადახდით იქნეს, მაგრამ
როდის... ეს არის უმთავრესი საკითხი.

მინისტრსაც სიამოვნების ღიმილმა
გადაჰკრა.

— მით უკეთესი, რაც ჩქარა იქნე-
ბა...

„კორესპონდენტს“ უფრო მეტი სი-
ამოვნება დაეტყო.

— ზედმიწევნით სწორი აზრია.
სრული ჭეშმარიტება.

— ნეტავ რა ახარებს, რომ იღიმება!

— გაიფიქრა მინისტრმა: სიმპატიური
პიროვნება კი უნდა იყოს ვიღაცაა:
სულაც არ გაეს საბჭოთა კავშირის
წარმომადგენელს.

ქერა თმიანი თავის ბლოკნოტში
რაღაც ჩაიწერა და დინჯად გააგრძე-
ლა:

— როგორ უყურებთ თქვენ საკითხს
დავალიანების ჯამის შემოკლების შე-
სახებ.

— მეტის მეტად არა სასურველი
საქმეა.—არ მომწონს მაგისთანა პრო-
ექტი. უმაღლესი წესიერება ვალების
გადახდის საქმეში სახელმწიფო კრე-
დიტის საფუძველია.

ქერა თმიანის სახე უფრო მეტად
გაბრწყინდა.

მინისტრი უფრო კიდევ განცვიფ-
რა მისმა განხალისებამ.

—კიდევ მინდა რამოდენიმე კით-
ხვით შეგაუწხოთ. ამბობენ, რომ ქვე-
ყნისათვის, რომელმაც გადიტანა
მსოფლიო ომი საშინელება ძნელი
უნდა იყოს ვალების სრულიად გადა-
ხდა.

— ამას უყურეთ, როგორ დიპლო-
მატობს. გამოღმა მიპირებს შემოღა-
ვებას!—გაიფიქრა მინისტრმა და მხი-
არული ღიმილით უპასუხა:

— მართალს ამბობთ, მაგრამ მდი-
დარი ქვეყანა ყოველთვის გამოხახავს
გადახდის საშუალებას.

— მართალს ბრძანებთ მინისტრო?

— კაბინეტში ხუმრობა უხერხუ-
ლია.

— მაშ ნებას მაძლევთ თქვენი აზ-
რი პრესაში გამოვაქვიყნო?

— ჩემი კი არა, ეს მთელი საორან-
გეთის აზრია.



— ნეტავ რას იწერება განათლების
მუშაკთა კავშირის ცენტრ. გაშვეობა
ამ ცარბელ ქაღალდზე?

კორესპონდენტმა დაბლათ თავი
დაუკრა და მინისტრის კაბინეტი მხი-
არული ღიმილით დასტოვა.

— რა ახარებს ამ ხეპრეს?—გაიფი-
ქრა ცოტა დაეჭვიანებულმა მინისტრ-
მა და მასთან შემოსულ მდივანს მიმა-
რთა:

— დაუძახეთ მეორეს!

მინისტრის კაბინეტში სახე გამხდა-
რი და ხუჭუჭა თმიანი ქაბუქი შე-
მოვიდა.

— ვალების საკითხი მაინტერესებს!

—დაიწყო მან.

— ბრძანეთ!

— მე ჯერ თქვენი აზრი მინდა მო-
ვისპინო.

—მე არ შემძლიან დამაკმაყოფი-
ლებელი პასუხი მოგახსენოთ... თქვენ
კარგათ იცნობთ ამ საკითხის სი-
რთულეს... ფინანსიური მდგომარე-
ობა მეტად...

— დიან, დიან, მეც მაგას მოგახსე-
ნებთ, ფინანსიური მდგომარეობა მე-
ტად... დამეთანხმეთ, რომ შეუძლებე-
ლია ომის წინანდროინდელი ყველა
ვალების გადახდის იმედი ვიქონიოთ..

—რასაკვირველია, რასაკვირველია!
—უპასუხა მინისტრმა და სტუმრის
თავაზიანი მეტყველებით გახარებულს
თვალები გაუბრწყინდა. მის სახეზედ
სიხარულთან ერთად განცვიფრება
ინატებოდა.

— თუ თქვენგან სესხი არ მივი-
ღეთ.

— სესხს მიიღებთ ჩვენგან?

— დიან თქვენგან.

—თქვენ.. ჩვენგან.. სესხი.. ასეთი
მდიდარი ქვეყანა.. რაში გპირდებათ
ჩვენგან სესხის გაღება?

— საბჭოთა კავშირის მეურნეობის,
მძიმე ინდუსტრიის...

— როგორ: საბჭოთა კავშირის?!
თქვენ საბჭოთა კავშირიდან ხართ?

— რასაკვირველია, საბჭოთა კავში-
რიდან. მე გახლავარ...

მაგრამ მინისტრს აღარ ესმოდა მი-
სი ლაპარაკი. ის ავზნე მორეული
ავადმყოფივით ცახცახებდა, ხელები
თავის საყელოში ჩაეელო და მდივანს
უყვიროდა:

— არ გაუშვით.. გააჩერეთ.. დაიჭი-
რეთ... დააბრუნეთ ამერიკელი, გაუ-
გებრობა მოხდა. ამერია.. მე ის ბოლ-
შევიკი მეგონა. საფრანგეთი ამერიკის
ვალებს ვერასოდეს ვერ გადაიხდის,
პატიოსან მესაკუთრეებს არ უნდათ
გადახდა. ამერია... უთხარიო... დააბ-
რუნეთ... დავილუპე.

თმახუჭუჭა ქაბუქი კი მაგიდასთან
მშვიდათ იჯდა და ბლოკნოტში და-
ღისჯებით რაღაცას სწერდა.

კიკოლიკი.

„კ ა ლ ე ნ დ ა რ ი“

იყო მონასტრები, მღვიმეები, იყვნენ ბერები. ბერები, სწორედ მათიანეს, ისტორიას.

ისტორიამ კი მონასტრები თავის ბერ - მონაზნებიანა ქარს გაატანა. ბერ - მონაზნები ჩაპბარდენ ისტორიას. შეიძლება კაცი არ იყოს მონასტერში, იჯდეს მუზეუმში და სწორედ ისე, როგორც წინანდელი ბერები სწორედ, მხოლოდ არა მათიანეს, არამედ უბრალო კედლის კალენდარს.

როგორც მოგვსენებათ წინად ჩვენში გარკვეული გამოცემის მონაპოვად იყო გრ. ჩარკვიანის და ახ. პატრიოტის ხელში. ამ კალენდრებში მოთავსებული იყო ყოველგვარი მასალა, როგორც მაგალითად: სიზმრის ანსნა, ბედის სარკე და მრავალი. მხოლოდ ეს მასალა ვერ იყო სათანადოთ დამუშავებული.

კაცს მუზეუმიდან კი გადაუღებია ყოველი სიმნელენი და მდიდარი მასალებით სავსე კალენდარი შეუდგენია. იმდენი მასალები ჰყრია შიგ, რომ ორ დაწვესებულს „შრომა“ და „სახელგამ“ს უქისრია ერთად გამოცემა.

რა გინდათ, იქ, რომ არ იპოვნოთ, დაწყებული რწყილის წამლიდან, გათავებული — თუ როგორ შეიძლება ქატოდან გამოცხვეს გემრიელი და ნოყიერი მჭადი და სხ.

ყველა ცნობები დაკვირვებით და სისწორით არის შედგენილი: მაგ.: არის ასეთი ცნობა: **ებრაელთა დარბევა ქ. ბელაოსტოკში მოხდა 26 აპრილის 1906 წ.** შემდეგ ვკითხულობთ: **ებრაელთა დარბევა ბელაოსტოკში — 14 ივნისს 1906 წ.** როგორც ვიცით, ბელაოსტოკში ერთხელ მოხდა ებრაელების დარბევა და სამინელი სისხლის ღვრა. კაცს მუზეუმიდან სოლ სხვა აზრი აქვს, ალბად, როდესაც სწერს — **მოხდა 26 აპრილს და 14 ივნისს:** უნდა იქნებოდა მკითხველს ტვინი ევარჯიშებია, დაფიქრებულიყო და გა-

მოეცნო 26 აპრილს მოხდა თუ 14 ივნისს.

ეს ფრიად სასარგებლო საქმეა. ეს არაფერი.

კაცს მუზეუმიდან ისიც არ გამოჰპარვია, რომ 4 მარტს 1905 წ. ჩოხატაურში ორ ჩაფარს თავს დაესხნენ და სროლა აუტყვეს, არავინც არ დაჭრილა.

აღნიშნულია აგრეთვე, რომ 18 მაისს 1905 წ. მოხდა პატარა სადგურ ქველონზე თავდასხმა; 1905 წ. 29 მაისს ხონელს და გურულის შეტაკება მოუხდათ საპარასკეოზე. გურულმა თავი გაუტყვა ხონელს და მოქუსლა, ხონელს ხელში შერჩა

ცვლილთ. კაცს მუზეუმიდან ყველა ეს წიგნები ერთად მოუთავსებია კალენდარში. ყველა გვერდზე არის აღნიშნული ვინ როდის დაიბადა და როდის გარდაიცვალა (თავის თავი დავიწყებია, მაგრამ არაფერი) კაცს მუზეუმიდან გამოუტყველეთა და ამტკიცებს, რომ შეიძლება ადამიანი ორჯერ გარდაიცვალოს. მაგ. გ. ვ. პლენანოვი გარდაიცვალა პირველად 30 მაისს, 1918 წ., ხოლო მეორედ 5 ივნისს 1918 წ. კაცი მუზეუმიდან არ გვეუბნება 30 მაისიდან 5 ივნისამდე პლენანოვი მკვდრეთით აღსდგა თუ რა მოუვიდა, ან რად გარდაიცვალა, ხელმო-

მაისს 30 დღე
30
პარასკევი



ივნისი 30 დღე
5
ხუთშაბათი

1918 გ. პლენანოვის გარდაცვალება „სახელგამი“

1918 გ. პლენანოვის გარდაცვალება „შრომა“

გ. კლემანოვი:—ნეტავ როდის ვადვიცვალე!.. რამდენჯერ ვადვიცვალე?!

მისი ბაშლაყი. ერთი სიტყვით ისტორიული ცნობებით გატენილია კალენდარი.

ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს ერთი ფრიად ახალი და ღრმად დამაფიქრებელი აღმოჩენა. კაცს მუზეუმიდან გაუნძრახავს მღვდლების მაგიერობა გასწიოს, მღვდლებს წინად ჰქნოდათ მეტრიკული წიგნები და ცალკე წიგნი გარდაცვალებულთათვის, სადაც აღნიშნავდნენ დაბადებულთ და გარდა-

რედ. ეგ ვსთქვათ, შესაძლებელია; მაგრამ ვერ ვაგვიგია როგორ მოხდა, რომ ჩერნიშევსკი გარდაიცვალა 10 ივნისს და დააპატიმრეს 19 ივლისს, იმავე წელს. კაცი მუზეუმიდან არ ამბობს — ჩერნიშევსკი აქ დააპატიმრეს, თუ საიქოს. ერთი სიტყვით ასეთი მდიდარი კალენდარი ჯერ არ გვექონია, მას ისიც კი აქვს თავის კალენდარში აღნიშნული, რომ ამერიკა აღმოაჩინეს და პუშკინი თეატრში დადიოდა.

გაბიუროკრატებულ „ამხანაგს“

ამხანაგო, გამოცვლილხარ, სალაშიც კი გემძიმება. შემოგხვდები, თვალს მარიდებ, ეს მაკვირვებს, მეცინება

თუ ასეა — მაშინ უფრო უნდა იყო მეტი ზრდილი, უბრალო და თავმდაბალი, შეხვედრის დროს ტკბილი, რბილი.

არც ცოდნამ და არც სიმდიდრემ, არც ადგილმა და „პორტფელმა“, შენ არ უნდა ავამაზტოს და შეგცვალოს ვერაფერმა.

შეიძლება, შეიძინე, სწავლა მეტი, ცოდნა დიდი, ან და მოხვდი „თბილ ადგილზე“, ჯამაგირით შენ გამდიდრდი.

შენ ამაყობ, თავს სწევ მაღლა, „ცარიელი ვით თაველი“ ცა ქულათ არ მიგაჩნია; ქალამანად მთა და ველი.

სამსახური შეიფერე, მან შენ კი არ დაგამშვენოს და ნურც ფიქრობ ჯამაგირმა გაგამდიდროს, ავაშენოს.
ქრისტეს-ოღლი



— რა კარგი იქნებოდა, მისა, რომ ქალაქში მიდიოდე მაგ ურმით, შემოგიჯდებოდი ურემზე.
— ქალაქში რა მინდა, ამბობენ — ისეთი ტალახებია ქუჩებში, რომ ურემი ვერ გაატანსო.




— შეხე ბიჭო, შეხე, რა თავაზიანი ვინმეა: ქალს გზას აძლევს.
— განა ვერ იცნობ ჩვენს ძიას?! ის ქალი მისი ცოლია.


ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა იუსტიციის კომისარიატზე



ეს ჯაჟარიძე ივანე
მცარდველთა იყო ამჟარი:
თავად მინგრელსკის უმშვენა
გლეხთა რბევაში მან მხარი.



გოგბი მნიკოლოკოვი,
დამცველია ქალარა,
ახალ საქმეს ვერ იკარებს,
მისი გულის ნალარა.
ფიქრობს, როცა მის წინ ქრება
ძველებური ადათი:
„ამ ყოფაში კაცმა ქული
დაიხურე და წადი“.



— რა ამბავია? ეს ბავა-ბუგი საი-
დან არის?!
— სასამართლოს დარბაზიდან ის-
მის! როგორ ვერ ამჩნევ?
— შამილს ხომ არ ცეკვავენ? ან
იქნებ ფერხულია. არა, ეს სასამართ-
ლოს დარბაზში, კი არა, საკლუმბო
დარბაზიდან უნდა ისმოდეს.
— რა ცეკვა, რის შამილი ან
კლუმბს აქ რა უნდა? ცეკვა კი არა,
ვექილები ჩხუბობენ. ერთი მათგანი
ლაზარე უშრღაძე უნდა იყოს,
აღბად საქმის გარჩევის დროს ნერ-
ვები აეშალა და მოწინააღმდეგეს
დასცხა.
— მივეშველოთ!
— გოჟი ვარ, თავი მოვაბეგეო?!
დადექი შენთვის!..



— რა აზრის ხართ ამხანაგო აკა-
კი ვექილთა კოლექტივიზაციის შე-
სახებ?
— აკაკი ტყემალაძე: კოლექტი-
ვიზაცია? ჰმ... კოლექტივიზაცია ძა-
ლიან კარგი საქმეა, რომ ცუდი საქ-
მე არ იყოს...
— მაშ წინააღმდეგი ხართ?
— წინააღმდეგიო?! რას ამბობ?
მე პირველი მომხრე ვარ კოლექტი-
ვიზაციის... დიახ, მომხრე ვარ...
მხოლოდ არ მწამს კოლექტივიზა-
ცია: თუმცა კი მწამს, როგორ არა
მწამს... მაგრამ მაინც ვერ მივემ-
ხრობი... ჭკუაში არ მივდებ... არა,
კი მივდებ, მარა არ მომწონს... ერ-
თი სიტყვით საუცხოვო საქმეა! გაუ-
მარჯოს კოლექტივიზაციას!

დიდებულის — ვექილის
სულ სხვაა გულის ტრფიალი,
უყვარს არშაკა ვაჭართან
ლხინი და ყანწის ტრიალი.



სალაძეა ზესტაფონის
ვექილებში ძველი,
კულაკების ქომავია
და იმათი მცველი.
„ვექილური ეთიკა“ აქვს
„სოლომონის“ გონი
პრინციპები კულაკური,
კულაკების ქონი.
მითომ ასხამს ხოტბას მსუქნებს
ეწვის მათთვის გული,
რომ „კულაკში ხეირია,
გამორჩენა, ფული“...



მეგზენი კვლავ ძველებურად
„მოუღრეკი“ ესფერია,
(ევენ დვალი არ გგვონოთ,
დამცველია — ბოკპირია.)
აქვს და ქნოდა
სახლი
დახლი,
მოსავალიც ყურძნის ბევრი,
ერთგან ღვინის მწარმოებელ
ჯგუფის არის იგი წევრი
მე არ მინდა
მის შესახებ
მკითხველები მოვაწყინო,
მხოლოდ ვკითხავ:
— როგორ გახდა
ევეგნი-ჯან, კვარტი ღვინო?



ავაზაკი, მკვლელები
ღვინიჩაზამ დაიცვა,
დაცვა „ფეხზე ეკიდა“,
ჰონორარში ჩაიწვა.



აქ თოდუაძე „ათუკანტობს“,
ახალგაზრდა დამცველია,
ქალიშვილებს თვალს უნაბავს,
მათი გულის დამწველია.
ხან მომხრეა კოლექტივის,
ხან მომხრეთა მეომარი,
ხან ეს არის, ხან ის არის,
ხან წყალია, ხანაც ძმარი.

გამომგონებლობის დათვალიერება

გამომგონებლათა დათვალიერება ჩვენს წარმოებებში დამთავრდა.

პოი, რომ იცოდეთ, ტარტაროზო, რამდენი საჩანვლე ხაღბი აღმოჩნდა.

სანამ ამაზე ვილაპარაკებდე, უნდა მოვასხენოთ ერთი ახალი გამომგონებების შესახებ:

„რწ“-ის მანქანა.

ამ მანქანის საშუალებით შეიძლება მუშა - გამომგონებლების „ჩაყლაპა“, „განადგობა“.

პრემია გამოგონის ჯერ - ჯერობით „ჩოხელის“ სახით მიაკუთვნა მუშგლებს.

—:—

მეორე გამომგონებელი გახლავთ ფირზადიანი. ამ დაუფასებელ „მანქანი“-ს საშუალებით სასწრაფოთ შეიძლება მუშების ყველა წინადადებების ცხოვრებაში სასწრაფოთ „გატარება“.

ორი წლის უკან ამ მანქანამ დასამარა ამხ. ბელოვილის წინადადება. ჯილდოს მომავალი საწარმოო

საქარხნო თათბირი მიუძღვის. თვით საწარმოო თათბირმაც გამოიგონა „დორიზული“.

დორიზული არის საიქიო, საიდანაც არც ერთი წინადადება არ ბრუნდება „დორიზულის“ დაჯილდოვება მოხდება საჯარო გასამართლების დროს.

—:—

გუშინწინ დავესწარი „როზა ლიუქსემბურგი“-ს თამბაქოს ქარხნის საერთო კოვბას.

იმდენი აქო ადმინისტრაციამ თავისი მუშაობა, რომ მსმენელებს გული შეიწყუნდა.

შეიძვერი საწარმოო თათბირის „პაპაკში“ ოა რაც ილაპარაკეს, იმის ერთი მეასედი სიმართლე ვერ აღმოჩაინდა.

—:—

ქალაქის სასაკლავოს ჩაუარე გზათ. ლომთათბირის, სივრცით „პატარა“ საცხოვრებელ ბინაში, გაემართათ სხდომა.

ბევრი იმსჯელეს, მაგრამ მაინც ვერ გამოარჩიეს, ვინ არის დამნაშავე მუშა - გამომგონი ამხ. მანუჩაროვი, „ფოქსები“, თუ „ექსპერტები“.

—:—

სასაკლავოდან ბამბის ქარხანაში გამოვიარე. შევედი, თურმე საპნის ქარხანაში მოვხვდი.

მთელი ქარხანის წევრები და საწარმოო თათბირი შემადგენლობა დაძინებული დამხვდა.

თურმე იმდინი იმსჯილეს, რომ ორი კვირაა სძინავთ და ცენტრალურ გამგეობის ცდებმა — გასაღვიძებლად — უშოიგოთ ჩაიარა.

—:—

ასეთია ჯერ - ჯერობით გამომგონებლობის დათვალიერების შედეგები.

სინდიოფალა.

ამაღლება

გურია

ერთხელ სოფელ ამაღლებას მოველინა თავის შეფი, რომ ენახათ მშენებლობა და სიცოცხლე ანაჩქეფი. თემის საბჭოს თავმჯდომარემ მოიწვია ფიცხლად კრება. რომ სირცხვილი არ ეჭამათ, ყველას სთხოვეს დახმარება. თავმჯდომარეც აირჩიეს (იყო ჩვენი მეღობღიანი) იყო ფართე მოხსენება და სიტყვების „სწორი“ ტონი... წარსულ წელში შეფის ფულით. რა მოაწყვეს, რა ააგეს, — ეს სიტყვები მოსცვიოდა ორატორის „ნეტყველ ბაგეს“. თუმც გასული მუშაობის არ იცოდა დიდი რაზე, — მაგრამ ფაქტი დადასტურდა რომ ოფლის დგრიდენ დღედაღამე. და ამრიგად ტრიბუნადან „მჭერმეტყველი“ დასძრა ენა, მიღწევები პროცენტულად შეფმა საბჭოს მოახსენა. დავანგრიეთ ეკლესია და ვაშენებთ მით ჩვენ სკოლას. ჩვენი მღვდელი ველარ ბედავს ამისათვის ჩხუბს და ბრძოლას. აქ თეატრიც ავაშენეთ, სოფლათ არ სჩანს უკეთესი... „ოპერას“ ვდგამთ თვეში ორხელ, „დრამაც“ მიდის მასთან ექვსი... რადიო გვაქვს საუცხოვო,

ხან იცინის და ხან სტირის, ჩვენს თემს მუდამ ცნობა მოსდის, ლონდონის და პალესტინის... თანაც ყოველ მუშათობით გასართობათ მოგვყავს კინო... სამკითხველო გავაუქმეთ, შიგ დავაწყვეთ მანკის ღვინო.. გზები ყველგან შევაკეთეთ... მოტყეპნილი არის დარში, მაგრამ გიორგეთ, რომ არ ნახოთ იგი ცუდ დღეს ან ავდარში... მიწის მყიდველს და გამყიდველს ვიჭერთ, ვერსად გაგვიქცევა, მაგრამ სულ სხვა მოხერხებით ჩვენ ვიყიდეთ სამი ქცევა. თქვენაც ხედავთ ჩვენს შენობებს, რომ არა აქვთ არც ერთს მინა. (ეს მიტომ, რომ ზაფხულობით გრილი იყო სკოლის ბინა) ზამთრობით კი თუ მოწაფე სიცივისგან აიბუზა, — მაშინ ნებადართულია მიაფარონ ფანჯრებს „ბლუზა“... გლესკომს ცეცხლი წაუქიდეს, ზედ მიაწვეს „კომპერანტი“... ჯერაც თითქმის ფარულია ეს მოხთალი შავი კვანტი... საბჭოს ეხლაც მაგრად სძინავს, არცინ უხსნის მძინარს არტახს, და ბაზარი ამაღლებს, ესლა მოპავს უფრო პარტახს...

დსმან-აღა.

ბრძელდება ხელისაშურა

თებეკველისათვის

„მუშა“-ში და შპრ. „ტარტაროზო“

რუსული იუმორიდან

ავადმყოფის სარეცელთან




მეიმი — გარდაიცვალა?
 ავადმყოფი — არა! ჯერ ცოცხალი ვარ!
 ცოლი (ავადმყოფის) — დაჩუმიდი შე სულელი ექიმმა შენზე უფრო უკეთ არ იცის?
 —:—
 ლოლიკა (ქალი და კაცის თავი)



— მიკვირს, ეგრე კარგა როგორ სწერ ღვინოზე და ქეიფზე, როცა თქვენ ერთ წვეთ ღვინოს არა სვამთ და არც ქეიფობთ!
 — მერე რა უყოთ, ვინც ერობოკვერცხს სჭამს იმან კვერცხებიც უნდა დასდვას?


—:—
 სიპრისის მებობრები (ორი კაცი).
 — კაცო მართლა უჩივი გიორგის სასამართლოში?
 — ჰო-და!
 — რატომ?
 — მე იმან სულელი დამიძახა!
 — მერე მეც ხომ უფელ დღე გეძახი?
 — შენ სულ სხვა ხარ! შენ ბავშვობიდანვე მიცნობ!



არ დაუფასეს

— ეჰ, მთელი ჩემი სიცოცხლე ჩატაკ ქვეშ ვმუშაობ და კიდევ საფანგებს მიგებენ!

ბედნიერი დღე



— რატომ ასე მხიარულათ ხართ დღეს?
 — რატომ არ ვიქნები! დღეს ჩემი ანგელოზის დღეობაა, და პარტუმენდაც მშვიდობიანად გავიარე.




— ის რა დაწინაურებული მუშაა, გალსტუკს ატარებს!



— სოციალისტურ შეჯიბრში რატომ გამოიწვიეთ ასეთი სუსტი ქარხანა?
 — თავის შეწუხება რომ არ მოგვიწიოს, იმიტომ!

ბუკინისტთან



— ეს რა არის! ამ წიგნს კარგა ოცგვერდამდე აკლია!
 — რა უშავს უფრო მალე წაიკითხავ!

პეტრე და ისიდორე

ძირულა

— პეტრე, წელს პური თუ გითე-
სია, რა ქნა, ამევიდა თუ არა?

— ნულა იკითხავ, ჩემო ისიდორე,
თუ იმერეთის გახრეკილ გორაკებზე
ჯვჯვოილს დავინახავდი. პაწია თუ მა-
რჯვეთ ვიქნებოდა, ქართლ-კახეთიც
ვეღარ დაქვიანებდა.

— ცოტა მეც კი მითესია, მარა
შენი არ იყოს, ერთობ კაი პირი
უჩანს. დეიქვა ჩვენი ბანკის თავ-
მჯდომარის ოჯახი, ხორბალი სამი
ფუთი მეტი არ მომცა, თორემ პაწია
ბლომით რომ მეცა; ავშენდებოდათ
კაცი. ბევრი ვეგვეწმე, ბევრი ვემულ-
არე; კიდე დამიმატე, ვითხავ, ხო არ
ეჭამ—მიტოვი, მარა არ შეგჭანოს მი-
წამ, ტყვილა არ შეაპანტურა.

— აგრეა, ჩემო ძმაო, ვინც ნამ-
დვილი მუშაა და ნამდვილად სთე-
სავს, მას არ მიეცა. გრიშა ებანოიძეს
კი, რომელსაც მისდღემში თოხისა-
თვის ხელი არ მოუკიდნია, ადგა ჩვე-
ნი ბანკის თავმჯდომარე (ალბად კა-
რგი ნაცნობი იყო და რამე სარგებ-
ლობა ექნებოდა) და თუთხმეტი ფუ-
თი ხორბალი სათესლე ნისიათ მის-
ცა.

— ისე აუშენდა ოჯახი, რაც
გრიშა იმას არ დათესდა.

— აგერ არ ვითხრა, ცაცო. ეს მუ-
ქთად ნაშოგნი ხორბალი დაფქვა და
ზესტაფონში სულ ცამეტ-ცამეტ მა-
ნეთად გაყიდა. ის ამბავი ქე იციან,
მარა არაფერი. ესლა ის ყმაწვილი
გაიძახის: „რაც არაფერი შექნება, რა

ჩემ ფეხებს გადამახდევინებენო.

— უნდა გამოგიტყდო, რომ ბანკია
თუ რალაც ჯანდაბაა, ლარიბებს არა-
ფერ დახმარებას არ უწევს.

აგერ იქით წინაზე სესხათ ფული
ვითხოვე, მაგრამ გაგიგონია. ერთმა-
ნეთს გადაუჩურჩულეს: „ი ძლიერ
ლარიბია, ვალს ვერ გადაიხდის და
ფულის ამოღებაზე ისევ ჩვენ დაგ-
ვჭირდება ხლაფორთი და დავიდარა-
ბაო. მე სამი თუნანი არ მასესხეს და
მდიდრებს კი ოც-ოცდა ათ თუმანს
აძლევინო.

— მეც მაგაზე არ მტკივა გული.
ჩემმა შვილმა ათასნაირი კურსები
გაათავა. ბანკის თამჯდომარეს ეხ-
ვეწვებოდა: სამსახურზე ადგილი თუ
აღმოჩნდეს, მე დამაყენო, გამოიდა
ადგილი თუ არა, ჩემს შვილს ვინდა
ლოუძახა. ხელოთ სამსახურზე დანიშ-
ნეს ყოფილი მიკიტანი გველესიანი.
ეს არი კანონიერი? ლარიბი კაცის
შვილი უადგილოთ უნდა დაეხეტე-
ბოდეს და ვილაც გაბღენკილი ნამი-
კიტნარი, რომელიც ამ მთავრობას
ცოლსა და დედას აგინებდა დუქნის
დალუქვისათვის, სამსახურში უნდა
წამოსკუპდეს? არა შენი ჭირინე, ეს
ყველაფერი უკანონოა. უსათუოდ
უნდა მოგნახოთ ის ვილაც ძირულე-
ლი თალა ტარტაროზში, რომ წე-
რავს ხოლმე: ტოჩი-ტოჩ უნდა ჩამო-
უკაკლო ყვილაფერი და გაგაწერიო.
მერე ნახონ მაგათმა თავის სერიო.

ძირულელი თალა.

ძმური „მისაღმება“

ერთ მშვენიერ დღეს სად. ხაშური-
საყენ მიემგზავრებოდა ლიხის უფ.
მუშა ვასო.

მას გზაში შეხვდა თავისი ძმა კო-
ლა.

— როგორ დაღონებული მოდინარ,
ბიჭო ვასო?—შეეკითხა მას კოლა.

— კომუჯრედის კრებაზე ვიყავ, გა-
ნცხადება მივიტანე, პარტიაში მინდო
და ჩავწერილიყავ, მაგრამ ვილაცას
ჩემი ძველი მოქმედება გაუგია და
ყველა დაწვრილებით შეუტანია ბი-
უროს სხდომაზე.

— რა ამბავი გაუგია, ბიჭო?—შეე-
კითხა კოლა.

— რა ამბავი და მე და შენ რომ
ოსეთის ძარცვა-გლეჯაში ვღებულო-
ბლით მონაწილეობას. ძველი გვარდი-

ელი არის. გლეხებს უდიერად ეპყ-
რობოდაო, ბაკურიანის შემნახველ სა
ლაროს ფული შექამაო; მუშკორების
მღვენელიაო, მუშებს ლანძღვა-გინე-
ბით ისტუმრებსო.

— მერე და იმ ოჯახდასაქცევს ვინ
მისცა ამდენი ცნობები შენზე?

— რა ვიცი, ალბად მიყურებდა ვი-
ნმე, მაგრამ ეს რაფერია; უპარტიო-
დაც არა მიშავს, მარა ესლა მეტი უბე-
დურება მეწვეა.

ლიხის მშვენიერ კომისიაში აურჩე-
ვით მუშა ნიკო კიკაძე, რომელმაც
იცის რაც გამიკეთებია სოფლად, რა
გლახა დროს მომისწრო ამ უბედურე-
ბამ!—არტელის უფროსად ვაპირებდი
გასვლას.

წვერი № 28.

კიათურა

პრობამციადა

ჩემს ყურადღებას იქცევდა
სასამართლოში ვეჭილი;
ბიჭი-ყოჩალი, ჯველი,
გამოცდილ-გამოქექილი.

ტელეფონს ჩაურაწკუნა,
რა ექნა, არ გამაგონაო;
ტელეფონისტკა ქალგმმა
მომკლა და დამაღონაო.

ბოლოს აგონებს სადგური,
მონახა ადრესატიცა:

„აბა გვიშველე ზოტინე,
როგორც აქამდის აწიცა.

პროკურორის იცნობ თუ არა,
ებრაელიძეს გვარადა?
იმის ჟოითესს იორ ნახავ
იარო მთა და ბარადა.

იმნა ვთხოვა, ზოტინე,
აბა რათ გინდა ფიცო, —
რომ სამი მეტრო მომეცი,
თუ ძმა ხარ შენ რომ იციო.

როგორც მუშკოობის გამგესა
თქვიენ ეს არ გაგიჭირდებათ,
უნდოო... იოჩა: ამისთვის
სამაგიეროს გპირდებათ,—

მაგრამ ამა იროს ზოტინე
ალბად დასთანხმდა: კარგო,
რაიანაც მოოამ გიჭირდება
იუსტიციის დარგო.

ვექილმა მადლობის შემდეგ,
კლირტებს ჩამოუტრა.

ვინ იცის მართლა პროკურორის
უნდოდა რამე თუ არა?

ლ—ზი.

მღვდელი დავითი

მღვდელი იყო მონასტერში
ცბიერი და გაიძვირა.
ღვთის მსახურმა მეტის მეტად
ახაფორა დაიგრძელა.

მართალია, ლოცავს, წირავს,
ცეცხლის ალი გულს ედება;
მონაზვნებს სილამაზით
სანთელსავით ღნება, ქრება.

წირვის შემდეგ დაჰპატიჟა,
მან ლამაზი ერთი ქალი,
მისი ეშხით თვალთმაქცობით
ეს ხოცესი იყო მთვრალი.

ჰკადრა: „ჩემო მშვენიერო,
შენ ხარ ჩემი უკვდავება,
სულ შენზეა ჩემი ფიქრი,
შენი სახე გულში მრჩება.

ხელი ხელებს ჩაეჭიდა,
გაიშართა ხევენა, კოცნა,
და ტრაპეზში გაიშლართა
ღვთის მსახური ორი მონა.

ქრისტეს, ნინოს, მარიამსა
ყველას გული აუთოთოლდა;
გაიხსენეს თვის წარსული,
ისიც თუ რა საქმე მოხდა.

ფარ—ნი

რეაქცია

სასამართლოში

ჩვეულება

სადგ. გურჯაანი. სოკრატესა და მიზას უყვართ ღვინის ყლაპი; (რკინის გზელები არიან და არა ტყემლის ტყლაპი). გააცოცეს ბოჭკით ღვინო, — ვინ ვაგვიგებს, ვინო?! შეზარხოშდენ და დაუკრეს მოპარული ვიტარაო; შემოსძახეს: „სულო, გულო, კიდევ ხომ არ გინდა რაო?“.

კალა.

დაკარგვა

სურამი. დაიკარგა აგრონომი, მას დაეძებს აღმასკომი. ყურს არ უგდებას ღროზე თესვას, ურჩევნია — ღვინო შესვას. მპოვნელს ესთხოვთ — არ გამოგვიგზავნოს, მოსვლით საქმეს რომ არ ავნოს.

გაპაჟვა

იქიდანვე. სოცდაზღვევის აგენტებმა ფულს აღინეს ოფლი, ქაფი, შეაგროვეს და იმ ფულს პირში უქნეს ყლაპი სწრაფი.

„ტიგრი“

წინასწარი მიზანი

დიდი კუზი, (კრუხი არ გეგონოთ). (ქუთაისის ოლქი. დასრულდა სამკითხველოს შენობა დიდი დავი-დარაბით. იკეტება - იღება იგი დუქნის დარაბით. ასეთი პლანი კარგაო, ყველაფერში გვარგაო;

სამიკიტნოთ გამოგვადგებაო, ადვილად გადაკეთდებაო.

იოზიათი უმითხვამა

ხონი. (ძაფ-საღები ქარხანა). გუშინ დათიკო ჯახავაძე პირველ საათზე მოვიდა სამსახურში; მუშები ერთმანეთს უჩურობდნენ ყურში: „რად მოვიდა იოის ასე ადრე?“... მაგრამ მე დათიკოს შეკითხვა ვერ ვკადრე, რადგან მუშა - ქალებს უბღვერდა ის თვალებს.

ქარხნელი.

იხმვ თავადობა

გურნა (ქუთ. ოლქი). აფთიაქის გამგე მეტის - მეტად ნაზობს. სიტყვას არ კადრულობს, გული მოსდის, ბრაზობს. აბაკუნებს ფეხებს და უყვირის გოჩნებს. ძველი ბარათაშვილია, თქვენც მიხვდებით რაც შეილია.

ა. დიმელი.

ხანგრძლივი სიკვდილი

სურამი. გარდაიცვალა სამიკიტნოები „სურამის ციხე“ და „უღელტეხილი“, რომლებიდანაც ხშირად გამოდიოდნენ თავ - პირ გატეხილი. ეპოს გამგეობამ ბევრი ცრემლი ჰღვარა, ფულიც დააყარა, მაგრამ გერაფერს ვახდა და ჩვენი სურვილი ახდა.

„ტიგრი“.



— ასეთ პატარა საქმეზე ორი თვეა დავდივარ!
— ჩვენ სხვებსავით ზერეღეთ კი არ ვირკვევთ საქმეს... წელიწადიც გაგრძელდება, მერე რა ვუყოთ!

ხუმრობა

სადგ. გურჯაანი. ვაშაკიძეს წაეჩხუბა ელმწერალი ნინა. სადგ. მორიგეც ვაშაკია, და დაუღვა წინა. ქაღალდები აეშალა, და სახეში გაუშალა. მოუქნია ვაშაკიძეს, იქვე მდგომი სკამი და სკამს უფროსის თავზე მიატყდა ფეხი სამი. ხშირი არის აქ ასეთი ჩხუბი შფოთი, პირველია კუდაბზიკა და მეორე ლოთი.

„წიკა“.

იღვლიანი კაცი

სუფსა. დიომინდემ ნიგვზიანში გაფლანგა სიმინდი და ორი ჯორი, (დიან, ჯორი; არ გეგონოთ თქვენ ეს ქორი). მაგრამ ეხლაც თავს გრძობს კარგად, (საქმეს აწევს ზედმეტ ბარგად).

კრიკ.

ახალი მკლავაძე

ფოთი. (ნავთსადგური) სახანძრო რაზმის უფროსი ბაგრატა დათვრა მაგრათა, ღვინისაგან თავში გაუჩნდა ხანძარი. შეირყა მთელი ბაზარი. ვაშაკობა დაიჩემა და გამგელებს ყველას სცემა.

(ლუზა).

ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა

— რამდენი წლის იქნებით? აგრე ახალგაზრდა ხართ და ხელისმოსაწერად მოსულხართ ზაქსში? —

— მეფერამეტეში გადავდექი და ოთხი ქმრის გამოცვლა მოვასწარი ჯერ-ჯერობით.

— როდის ჩამოხვედი, მამაო ნიკიფორე, სოფლიდან? — მალე დაბრუნდები?

— რალა დასაბრუნებელი პირი მაქვს, შვილო, გლახობამ გამამაძევა სოფლიდან. შვილს მოვაშურე იქნებ შემინახოს მეთქი, მაგრამ ისიც ჭე გამოუჩინებავთ აგერ ახლა დამცველთა კოლეგიიდან.

— რას იტყვი თქვენი გამგის შესახებ?

— მეტის-მეტად სიმპატიურია. მისი ალერსი სულ მავიწყებს ხოლმე ჩემ ქმარს.

ახალგაზრდა მხატვართა

კ მ ნ კ შ რ ს ი

გაგრძელებულია 15 თებერვლამდე

სცენა სასადილოში

ა.ვ. რკ. გზ. საჭილაოს ხე-ტყის ქარხანაში

1-ლი მუშა: — ახ, თფუთუ...
მე-2 მუშა: — რა დაგეძაროთა, კაცო?

მე-3 მუშა: — ე, ბიჭო, რაცხა კიდევ ნახა მაგ ოხერმა ხარჩოში და ხომ დაგვატყვიბია დღეს სადილი.

1-ლი მუშა: (სასადილოს გამგეს): შენი ოჯახი დეიქა დიომიდე ქანდაკია, რაღა გოუტყავებელ საქონლის ხორცს გვაჭმევ, ბურღლას მაინც მოაკილებდი და ტყავს ქე დაგლეჯდა კაცი... ახ, თფუთუ.

სასადილოს გამგე: თუ რამე ნახე, გადავაგდებდი, შე კაცო. მაგიზა რა გაყვირებს? არაფერია, მუშები ყველაფერს გაუძღობენ.

მე-2 მუშა: ავიშენდა კარაბადინი.

1-ლი მუშა: ახ თფუთუ... თქვენნი რჯული დაღლანჯული.

მე-2 მ.: მართლა რა ამბავია ამდენი სიბინძურე! წელან ერთ ლუკმაზე ოთხი ბუზი და თორმეტი ტარაკანა ჩამყვა მუცელში.

გამგე: რა გაწუხებს მერე, ბიძია? ხომ გაძენი, ხეირია, მეორეს მოთხოვა არ დაგჭირდება.

მე-4 მუშა: გამგეს კითხავ, გიპასუხებს: მზარეულის ბრალიაო, მზარეული ხორცის მომწოდებელისო — გეტყვის, ხორცის მომწოდებელი დანიელ თელია, ბურღლას კი არა, მგონი, თუ მოახერხა, ჭალის სილასაც ზედ დაწონის, ნუ გეშინია ერთბაშათ ქარხნის ექიმი და ადგილკომი არ შემოვიდეს და არ გასინჯოს ყველაფერი.

მე-2 მუშა: ბიძია, რაღა ტყუილა ილიე ენას, დიომიდე ქანდარია მგონი მეოცე გამგეა და რაღა ფიქრობ, მაგი სხვაზე უკეთესი იქნებოდა თუ? თუ ვინმე გახუნებული კაცია, ყველა მოდის.

მე-2 მუშა: რაცხა ისთე ამერია მუცელი, რომ მგონი შიგ ბუზები და ტარაკანები ჩნუბობენ.

1-ლი მუშა: გარედ გაასწარი, კაცო, აქანე ვაის, უი კიდევ არ დაამატა!

მე-3 მუშა: ამ ლაი-ლაის თავი გაანებეთ და მიხედეთ რაცხა გვაქვს წინ, ისიც არ წავგართავს ძალღებმა. **ჭრიჭინა.**

„უ ს ი ნ დ ი ს ო ბ ა“

ყველაფერი შესაძლებელი მეგონა. ყველაფერი მინახავს: ჩონხატაურიდან ღუშეთამდე ყველაფერი მომიგლია. ქალაქი ტფილისიც მინახავს, მაგრამ ის კი არ მინახავს, რომ კაცი თავის „სიგლახს“...ა და „უსინდისობას“ იკვიროდეს.

ნუ თუ „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ივლიანე მარკოზია ძველ ხურჯინივით ჩამოეკიდება მასწავლებლობას ჯამაგირის მიღების დროს და სასადილოსკენ მიათრევს? (თავის ხარჯზე ქეიფის წინააღმდეგია).

ჰო-და...ასეთმა კაცმა დამპატიოვა და 5 მანეთი დამახარჯა, რომ ლოთობისათვის ის გაზეთში არ გამეწერა. თანაც მოხოვა: — შენი პატივის ცემა ჩემზედ იყოს, თუ შენ თავაიშვოლს რომელიმე გაზეთში გასწერავ, რადგან მან „ტარტაროვში“ ჩამაგდო...

მე ავიღე და თითონ მარკოზია გავწერე გაზეთში.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ასრიევი და პეტრავი „უბატონოდ“ ხმას არ მცემენ წმენდაზე — „ატვოდი“ არ დანირტყასო. მე კი უშველებელი წერილი გამოვამტყინე წმენდის წინ კედლის გაზეთში, მათ დენერტირობასა და დაუდევრობაზე.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ერვანდ ამირზადგულიანი ჩემს პატივისცემას გადაყვა. ისეთი დახასიათება მომცა, რომ ქვას გააბობდა, გამომიყვანა — თითქოს სოციალიზმი დამემარებინოს ალბულახში. მე კი სამაგიეროდ გაზეთში გავაჭრე.

განა ათჯერ „უსინდისობა“ არ არის ის, რომ ღუშეთში მოსვლისას, როდესაც „მსუბუქი კავალერისტი“ გაეხდი, მიკითხებმა დამპატიუხეს და დარბაზობა გამიმარტეს იმისათვის, რომ არ დამესვა წითელი სასადილოს გახსნის საკითხი. მე კი მეორე დღესვე კედლის გაზეთში გავაჭრე და აღმასკომმაც შეიტანა გეგმაში წითელი სასადილოს გახსნა.

განა „უსინდისობა“ არ არის ის, რომ რაკომის მდივანი საძაგლიშვილი და მილიციის უფროსი დათრობისა და სროლისათვის კედლის გაზეთში გავწერე, რისთვისაც ორთავეს „ნიშადური“ ამოსცხეს.

განა „უსინდისობა“ არ იქნება ის, რომ საბავშვო ახალშენის გამგე, ათწოდის პროფ. სკოლის საბავშვო და რაისკოლების გამგე, რომლის ჯამაგირი 10 უწყებაში სწერია და მართო ახალშენის გამგეობისათვის სულ რაღაც ორას ორმოცდა ათ მა-

„კატა და თავგი“

(მიზაძვა)

ჭიან - ტრესტის თანამშრომლებს გაემართათ ერთხელ ბჭობა. ვინ გინდათ, რომ იქ არ იყო — მშართველი და ძმა-ბჭობა: მოადვილე, საქ.-მშართველი, ბუჭხალტერი და აღმსტატი... რაღა ბევრი გავაგრძელო, იყო თითქმის მთელი შტატი...
„უ წამოდგა საქ.-მშართველი, სკამმა იწყო ჭაჭა-ჭუჭი; მოხსენება წამოიწყო, რა ჭიქით წყალს უქნა ყლოურწი: — ჭიან - ტრესტში მუშაობა, ჭიანურზე აწყობილი, პაწა საქმეს თვე სჭირდება, ჩვენ ისე გვაქვს მოწყობილი. და ეს წყება, თუ თან წყობა ამ ჩვენ შრომას ამსუბუქებს, მაგრამ ვიცო, რომ ცის რისხვა ბოლოს ჩვენს თავს დაიჭუხებს: ხან ბარტ - წმენდა, ხან ააწმენდა, (ო, დიდება ღმერთო შენდა). ამდენ წმენდას ვინ დაუძვრეს... ლამის შიშით თავი წამძვრეს.

„მსუბუქი კავალერი“ ნაომებივით ყველგან სკდება... გამოგვაკლეს ო, რამდენი, და თხელდება ჩვენი წყება. დაძვრებიან კატებივით. თავზე დაგვეცხს შიშის ზარი. რომ ზიანი კვლავ არ გვიყონ, ყოლმ შევიუბათ უნდა ზარი — რომ თავდასხმა მათი ჩვენზე ჩვენ შევიტყოთ ზარის ხმაზე..

დამთავრა მოხსენება. დაუშინა ყელამ ტაში, კვლავ დაწყნარდენ, რომ მართველი, გაიჭიმა სხლომის თავში: — ჩვენ საქ.-მართველს, ვიტყვი მართალს, ჩი ჰქონია ჰკუთ თავში“. აქ შიკრიკმა ჩაიცინა: — ისე მსჯელობთ. როგორც ბავში,

„კავალერისტს“ კისერზე ზარს ვინ შეაბამს თქვენგანი? — ...მიმალენ ფართხა-ფურთხით, ყველამ ოქნა საქმეს განი.

ზახჩო.

ნეთს იღებს და სხვა გამგეობიდან კიდევ სხვას, — გაზეთებში გავწერო? განა ეს „უსინდისობა“ არ არის, რომ... მთავრად სჯობია გავწემდე, რადგან დაწერილი წერილში რაღაც ორი კაპეიკი ავიღე და მან კი 100 მანეთიანი ადგილი დამაქარგვინა და 40 მანეთიანი ადგილზე ჩამომიყვანა. თუ კიდევ რამე ესტყვი, ალბად, ვილაქა 25 მანეთიან ადგილზე გადამიყვანს.

ჭინტრავა.

ფორმალურად

ჯარიმა; როგორც არ უნდა იყოს, ქირივით მეზარება.

ყოველთვის გაურბივარ ასეთებს. ამას წინად დეპეშა მივიღე სოფლიდან. ცოლის გარდაცვალებას მატყობინებდნენ.

უნდა სიმართლე გითხრათ, დიდათ არ მწყენია მისი სიკვდილი. მოგესხნებათ, თუ კაცს ცოტა საპასუხისგებო ადგილი გიკავია, თუ უცოლო ხარ, უფრო მეტი დაფასება გაქვს ბანოვანებში.

ავიღე შევებულება და გავსწიე სადგურისაკენ.

ადრე მომიხდა მისვლა და რომ ტყვილა ჯდომით დრო არ დამეკარგა, ვიწყე კედლებზე ვაკრული სხვადასხვა რეკლამებისა თა დასახარებების კითხვა.

„ნამწვავებს იატაკზე ნუ დაჰყრიან.. ჯარიმა 2 მანეთი“ — ლაღადებდა განცხადება.

წაკითხვა და სანაგვე ყუთისაკენ გაქცევა პაპიროსის ნამწვავის ჩასადებათ ერთი ვქენი. მე მეგონა ყოველი მოქალაქე ასე იქცეოდა, მაგრამ დარბაზი სავსე იყო ყოველგვარ „დასაჯარიმებელ ნივთიერებებით“. წესიერების დამცველებიც ხედავდნენ, რომ მოქალაქეები უხვად სთესავდნენ იატაკზე სიბინძურეს, მაგრამ ხმასაც არ „იმალღებდნენ“. სადგურებში კი იყინებოდნენ განცხადებები, რომლებიც ხან და ხან კიდევ წამოიძახებდნენ: „აფსუს ფულგებო, რა ტყუილუბრალოდ დაიხარჯეთ ჩვენ დაბეჭდვით“

მეორე დღეს სალამოს ჩავედი სოფელში.

ცოლი დასაფლავებული დამიხვდა. დაუწყე ყვირილი იქ მყოფთ: რატომ არ დამიცადეთ, ან რა უფლება გქონდათ ჩემი საყვარელი ცოლი ჩემ დაუსწრებლად დაგემარხათ-თქო.

სიმაზრმა კინალამ კეტი რამკრა თავში.

— თუ ასე გიყვარდა მთელი წლობითაც არ მიგვიტოვებდიო. ისე ლოდინით მთელი კვირა გელოდით რომ აღარ დაადგა შენ ჩამოსვლას საშველი, დავსაფლავებთო.

დავხედე დეპეშას. აღმოჩნდა: დეპეშა ერთი კვირის დაგვიანებით მივიღე.

რადგან სხვა არავინ იყო დასამარხი, იმ დღესვე გამოვბრუნდი ტფილისისაკენ. კირილე საფიჩხიელი.



ფშტპარს (ძიმიით, გურია). როცა ჩვენ შედეკითხეთ თქვენს გლებკომს,

რომელიც მიძინებულა საღათას ძილით ტკბილათა; რაც ეხოზმრება ყოველდამ აღარც კი ახსოვს დილითა, — ასეთი პასუხი მოგვცა ჩვენს შეკითხვაზე: — მაშ ტყვილათ ჰქვია ჩვენს სოფელს „ძიმიითა“.

მასალა უფრო კარგად დამუშავეთ და მოგვაწოდეთ.

ბრ. თამაძის (აქვე). როცა თქვენი „მღვდელი და თბა“-ს კითხვა დაეიწყეთ და წაიკვდიხეთ:

ერთხელ მღვდელმა თავის ვაცი დაიჭირა, ხელი სტაცა; ზურგზე მყისვე შეასკუბა —

ვაცმა სწრაფად გაიტაცა, — თქვენი ლექსიც თან გაჰყვა მათ სარედაქციო გოდრისაკენ. (მგონი თქვენს გარდა ეხლა სხვებს აღარავის ახსოვს მღვდელი).

აბას (აქვე). ჩვენ არ უარყოფთ, რომ თქვენი ლექსი სასაცილოა და ამიტომაც ვბეჭდავთ:

ხშირია, როცა ფიქრი ოხერი აგვეღვინება კაცსა ბოროტად; ხშირია, როცა ფიქრი წყუული დაგაღვინებს ღვინოს კვარტებით. (ეხლა ლიტრებით).

ცხრ-მალას (სოფ. ხუნჭულაური, სამტრედიის რაიონი). თქვენი გამოცანა ასე იწყება:


ორშაბათ დილა გათენდა რა კარგი დარი დგებაო... აოდა, შე კაი კაცო, კარგ დარგში ასე-

თი ცუდი ლექსის დაწერისათვის ცდები? გამოცანებითა და ქარაგმებით წერას თავი გაანებეთ. სთქვით, აშკარათ. მასალები მოგვაწოდეთ.

ხონელ უჩინარს. თქვენ გგონიათ — ამირიკა აღმოაჩინეთ თუ ბოქორიშვილის ქუჩაზე ჩარჩი სარქისოვი ცოლითურთ:

კვარცხებს ჰყიდის ლაყვს სალად; კითხვა უნდა ამას რალათ!

გზადიანშილს (სამტრედია), ჩვენ ვერ მოგვატყუილებთ, თითქოს თქვენ „უღმერთოთა კავშირი“-ს წევრი იყოთ.



ველისციხისათვის

ფასტის დამტარებელი ნახო სიზმარში — (კუღია, გაზეთების მიღებას ვერ ევირსები).

კინო - სურათი ნახო სიზმარში — ცუღია. მოხსენის გაკეთების დროს აზრები წარა - მარა გაგიწყდება კინო - ლენტეჯით.

პროკოფი ნახო სიზმარში — ცუღია, ბნელაში კისერს მოიტებს.

„მსუბუქი კავადერია“ ნახო სიზმარში — თავდასხმას ვერ ასცდები. დანდელი

პირველად ქალაქის კლუბს ვადავხვდით ერთი.

მ ბოლო დროს დრამ - წრის წევრებს მთლად გაუწყრათ ღმერთი.

(ეხლა რას იტყვიან?).

სამსტრ. კალაშის. (ერწო - სამტრედია). შეგვატყობინეთ, თუ რას შერბება ადგილობრივი ადმინისტრაცია, როცა:

რომ დათვრება რესტორანსა ზამთარაძე შალვა, გინებით და ჩხუბით უყვარს მას ქუჩაში გავლა.

ხმისპირიშვილს (ერწო). სოფლის მაგიერ, თქვენმა წერილმა პირი გოდრისაკენ ჰქნა.

ბ. მმდბარქმის (ტყეზულის მაღარო). გვწერთ სასადილოში უსუფთაობის შესახებ და დასძენთ, რომ:

ეს კიდევ არაფერია...

კერძი მომართვეს რავარი?! შიგ იყო: ძვლები, ჯოხები

მუხის ნაპოში, ყვარია... და კადევ საყვედურობთ, რომ ძვარი გადამახდევინესო? ამდენი „სიკეთე“ ყოფილა შიგ და, მაშ, რა ექნათ?

„ფშტპარს კაპოს“ (ბათომი). მიუხედავად იმისა, რომ თქვენი შემოქმედება:

იყო ის მოყვარულა, დიდ კაცებთან ლაქლაქის; მტკივან გულით დაჰქონდა დარდი ჩერვონცების, — ქვემარტად ნამდვილი ფურტურისტულია, ჩვენ მაინც ვერ დავბეჭდავთ.

ხაზსმოკიდებულნი

პირველ ადგილებში კულა-
კები სცდილობენ კოლექტივ-
ში გაძრომას.
ვაზეთებიდან.

